რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
წლიურად ფასი . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ
„დროებაზედ"
ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.
სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.
«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:
ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,
ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,
დუშეთში, გაბო შაბაროვთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.
აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები
(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

**ალექსანდრია.** ალექსანდრიის გაცალკევებას, ე. ი. კარანტინს არ აჭირდებ შემორტყმას თავი დაანებეს, რადგანაც ამისი აღსრულება არ შეიძლება და სხვა ქვეყნებშიაც ხალხს შეაშინებს.

**პარიჟი.** ლესეპსმა გამოუცხადა პანამის არხის (ამერიკაში) აქციონერებს, რომ არხზედ გემები დაიწყებენ სიარულს მხოლოდ 1888 წელს.

**პეტერბურღი,** 6 ივლისს. თბილისის გუბერნატორი თ. გაგარინი დაეთხოვა სამსახურიდამ და ჩაირიცხა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

მართებლობა აცხადებს, რომ რადგანაც თვრამეტის წლის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ვაჭრობის უფლებაზედ (პატენტების და გილდიის მოწმობა) ბაჟის გადუხდევინებაში ბევრი უსამართლობა ხდება ამიტომ ფინანსთა მინისტრს ახალი პროექტი შეუდგენია, რომელიც ძველს დებულებას ბევრ ნაირად შესცვლის.

**კაირო.** ხოლერა უფრო და უფრო ძლიერდება.

**ოდესა.** შავ ზღვაზედ აღარ ივლიან «მასსა-გრიესი მარიტიმის» კამპანიის გემები მინამ ოდესაში კარანტინს არ აჰხსნიან. აგრეთვე აღარ ივლიან ავსტრიელი «ლოიდის» და იტალიელი «ფლორიოს» კამპანიების გემები.

ტფილისი, 7 ივლისს.

უმთავრესი საგანი იმ დიდის რეფორმებისა, რომელსაც ბატონ-ყმობის მოსპობა ჰქვიან, იყო გლეხების ადამიანად ცნობა, სურვილი, რომ გლეხი ბატონის დამოკიდებულებისაგან გამოვიდეს და თავისუფალი ცხოვრება შეეძლოს. ბატონ-ყმობის მომხრენი ამ აზრისანი არ იყვნენ და ზოგნი გულწრფელად, ზოგნი ცბიერებით, ამტკიცებდენ, — გლეხი ჯერ ისე გავითარებული და ცხოვრებაში გამოსული არ არის, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება შეეძლოსო; რომ გლეხსა და მებატონეს შუა საჭიროა მამაშვილური კავშირი დარჩეს, რადგან გლეხები უბატონოთ ისე არ ივარგებენ, როგორც ცხვარი უმწყემსოთაო. ეს პატრიარხალური შეხედულობა უფრო ბიბლიურ დროს შეჰფეროდა, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნეს და აკი ამ შეხედულობამ მაინც თავისი ვერ გაიტანა და ბატონ-ყმობის მოსპობა თავის წესზედ წავიდა.

მაგრამ ეს უნდა ვიკითხოთ: მართლა სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა ზემოხსენებულმა პატრიარხალურმა შეხედულებამ? მართლა გლეხი სულიან-ხორციანად განთავისუფლდა მებატონესთან დამოკიდებულებისაგან, თუ, როგორც რუსეთის გამოჩენილი პოეტი ამბობს: «გაწყდა ძლიერი ჯაჭვი: თავი ბატონს მოხვდა, ბოლო ყმას!»? (როგორც მთელის რუსეთის ცხოვრება, ისე ჩვენი ამ მწყემსურ-ცხვრულის დამოკიდებულების მოუსპობლობას ამტკიცებს: თითქმის ყველგან გლეხ-კაცი მატერიალურად სულითხორცამდე მებატონის ხელშია. თუნდ იმასაც ნუ მივხედავთ რომ საძოვარი, ტყე, საწყლისპირო ყველგან უფრო მებატონისაა, თვით სახნავ-სათესის შესაკუთრედაც არ გამხდარა ბევრგან გლეხი და დებულების ძალით კი, ვინ იცის რამდენი ხანია, რაც უნდა გამხდარიყო. დებულებამ ვადა დაუდვა გლეხებსაც და მებატონეებსაც, რომლის განმავლობაშიაც გლეხებს უნდა შეესყიდნათ ან თითონ, ან სახელმწიფოს შემწეობით, მინაზომი მიწა (ნადელი), მაგრამ ეს ვადა დაუსრულებელი გახდა და ჯერ კიდევ დიდი ხანი გაივლის, ვიდრე გლეხს შეეძლოს სთქვას: ეს დედა-მიწის კუნჭული ჩემი საკუთრებაა, ჩემის ოფლით მოპოვებული და არავის ნება არა აქვს ამ ერთი მტკაველა მიწას შემომეცილოს.

«დროების» ფელეტონი 8 ივლისი.

უეჭველია, მკითხველმა კარგად იცის, რომ წარსულის ომის დროს დაღესტანში მოხდა აჯანყება, რომლის შედეგი იყო აჯანყებულების გადასახლება სამშობლო ქვეყნიდგან უცხო და სუსხიან რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებში. აჯანყების მოსპობის და დამნაშავეთა გარდასახლების შემდეგ ამ უკანასკნელების შესახებ თითქმის არა ისმოდა-რა: ზოგიერთა გაზეთებში იშვიათად შეხვდებოდით მოკლე შენიშვნას დასჯილთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ; გაზეთების გაკვრითი შენიშვნები გვაცნობებდენ, თუ როგორ უწყალოდ ქლეტდა გარდასახლებულთა რუსეთის სუსხიანი ჰავა, შიმშილი, სიღარიბე და სამშობლოსადმი დასჯილი სიყვარული. მხოლოდ ჩვენ შევხვდით «Русскій Курьеръ»-ში ერთ წერილს, რომლის ავტორი დაწვრილებით აგვიწერს სოფელს «დიდს დაღესტანს», დაარსებულს სარატოვის გუბერნიაში. ამ «სარატოვის დაღესტანში» დასახლებულნი იყვნენ აჯანყებული დაღესტნელები, რიცხვით 184 სახლობა (562 სული). ეს საცოდავები, ბედისგან დასჯილნი, უფრო შემცდარნი იყვნენ, ისიც სხვის წყალობით.

ყოველს დროს და ყოველგან მოიპოვება ისეთი წრე, რომლისთვისაც ფრიად სასარგებლოა სხვისი უბედურება და სისხლის დაღვრა. დაღესტნელების აჯანყებაც, როგორც ამბობს „Русскій Курьеръ"-ი, გამოწვეული იყო ადგილობრივის ადმინისტრაციის წვრილ-წვრილი მოხელეებისაგან, რომე[ლნი]ც თა შორის მოიპოვებოდენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, აგრეთვე მოსულნიც... როცა [ჯარ]ებმა აჯანყება გააქრო, შემდეგ, მოშორდნენ თავიანთ სამშობლო ქვეყანას და განიფანტნენ რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიებში. როგორცა ვთქვით, ერთი ნაწილი გარდასახლებულთა დაბინავდა სარატოვის გუბერნიაში და მათ სოფელს უწოდეს „დაღესტანი", თითქო სამშობლოს მოსაგონებლად. მთავრობამ იხმარა ღონის-ძიება, რომ გარდასახლებულთა მდგომარეობა მოეწყო კაცობრიულ გრძნობის შესაფერად. ახლად დასახლებულთ მისცეს მიწა, აუშენეს სახლები, რომელნიც კარგ ფასად დასჯდომია მთავრობას; თითო სახლი ხაზინას ულირს 720 მ.; ნამდვილი ფასი კი მისი არ აღემატება ორას მანეთს. დასახლებულთ მიეცათ თავ-და-პირველად სხვა და სხვა ავეჯეულობა, შეშა, და სულზე დღეში ორი შაური. ამოდენმა ხარჯმა და შრომამ მთავრობას ფუჭად ჩაუარა, რადგანაც დაღესტნელები შეჩვეულნი არ იყვნენ მიწის მუშაობას; მათი უმრავლესობა სამშობლო ქვეყანაში სცხოვრობდა ჯამაგირით, ან სხვა-და-სხვა ხელოსნობით და ვაჭრობით, რადგანაც მათი სამშობლო ქვეყნის ბუნებას არ შეფერის მიწის მუშაობა. ამიტომაც «დაღესტანში» დასახლებულთა უმეტესობამ უარი ჰყო მიწის მუშაობას, მხოლოდ 23 ოჯახობა დასთანხმდა მთავრობის სურვილს. ურჩნი კი, ჭკუის სასწავლებლად, დასჯილ იყვნენ «როზგით». ეს 23 ოჯახობა შეუდგა მიწის მუშაობას. პირველი წელიწადი მართლაც შავი დაუდგათ უბედურებს; შიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა არ ასცილდებიათ მათ, ერთის წლის განმავლობაში გარდაიცვალა 30 კაცი. მერმე მსურველთ მისცეს ნება გასულიყვნენ თავიანთი სოფლიდგან მუშაობის საშოვრად, რადგანაც მიწის მუშაობა ვერ შესძლეს. ამის შემდეგ ზოგი ხელობას მოეკიდა, ზოგი ვაჭრობას; 1880 წლის დამლევს დაღესტანში იმყოფებოდა მხოლოდ 30 ოჯახობა, რომელთაც სიკვდილმა გამოაკლო კიდევ 23 კაცი.

მკითხველი წარმოიდგენს თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილან გარდასახლებულნი, თუ რა სასტიკად დაუსჯია ისინი უკუღმართს ბედ-იღბალს. სამშობლოს მოშორება, უცხო ქვეყანაში დასახლება, შეუჩვეველი ყოფა-ცხოვრება, სიღარიბე, უდროვოდ სიკვდილი, აი მათი თავ-გარდასავალი.

დღეს სოფელი «დიდი დაღესტანი» წარმოგვიდგენს აოხრებულს და მიგდებულს ადგილს, რომლის სურათი ნათლად გვიხატავს ტანჯულთა ყოფა-ცხოვრებას. ამ სოფელში ვერ შეხვდებით მხიარულს სახეს, ვერ გაიგონებთ სიცილს, სიმღერას. მხოლოდ ზოგიერთა ქუჩებში გროვდებიან ზოგიერთნი და კითხულობენ სალმთო წიგნებსა და ულევით გულში იმედი სამშობლო ქვეყანაში დაბრუნებისა.

სოფელ «დიდი დაღესტნის» გარდა იმავე გუბერნიაში არის მეორე სოფელიც «პატარა დაღესტანი», რომლის ისტორია არაფრით არ განირჩევა «დიდი დაღესტნის» ისტორიისაგან. «პატარა დაღესტანში» იმყოფებოდა სულ 70 ოჯახობა; ამ რიცხვიდამ დარჩა მხოლოდ 3. ეს 3 ოჯახიც ჩაბარდება მიწას, თუ რომ ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტმა დროზე არ მიუსწრო.

თუ კი თითონ მთავრობას განზრახვა ჰქონდა მოესპო გლეხებსა და მებატონეებს შორის დღევანდელი დამოკიდებულება და «დროებით ვალდებულება», მაშ რაღა უშლის ამ კეთილის აზრის შესრულებას? ორი უმთავრესი მიზეზი: მომრიგებელ შუამავალთა დაუდევრობა და ზოგან თითონ მებატონეთა სურვილი, რომ გლეხები ძველებურად ყმასავით დარჩნენ და სრულიად არ შეისყიდონ თავიანთ ადგილ-მამული.

მაშ ამ შემთხვევაშიაც თავი უჩენია იმ საზოგადო ისტორიულ კანონს, რომ არავითარი ცვლილება არ შეიძლება ერთბაშად მოხდეს; შეიძლება გარეგანი სახე სხვა მიიღოს, მაგრამ შინაგანი ბუნება კი ისევ ძველებური რჩება, სახელი სხვა ერქმის, მაგრამ საქმე ისევ ძველებურად მიდის.

როგორც მოგეხსენებათ, მომრიგებელ შუამავლობის დაწესებულება ჩინებული დაწესებულებაა და საგანიც ჩინებული აქვს. პირველში, რაკი გაისმა ხმა გლეხების განთავისუფლებისა, მომრიგებელნი შუამავალნი თავის წმინდა დანიშნულებას რიგიანად ასრულებდნენ და ცდილობდნენ გლეხები სრულიად გამოეხსნათ მებატონის ულლისაგან. მაგრამ გაიარა დრომ, პირველი გატაცება კეთილის საქმისადმი განელდა, მომრიგებელი შუამავლობა სინეკურად ხელის მოსათბობ ადგილად გადაიქცა, რომელსაც შეიძლება კრუხივით დაეპატრონო, ორასი თუმანი ჯამაგირი იღო, შენის სახლიდამ კი ფეხი არ მოიცვალო, და მოხუცების დროს ან უწყალო სიკვდილის წინად შენს მემკვიდრეებს გარდასცე. მაგალითები მომრიგებელი შუამავლების დაუდევრობისა მრავალია და მკითხველს შეუძლიან დღევანდელ სურების კორესპონდენციაშიაც ამოიკითხოს.

მაგრამ, როგორცა ვთქვით, მომრიგებელი შუამავლების დაუდევრობის გარდა «დროებით ვალდებულობის» მოსპობას თითონ მებატონეების სურვილიც უშლის, რომელთაც ის უნდათ, რომ გლეხი თუ ყმად არა ყმურს დამოკიდებულებაში მაინცა ჰყავდეთ და რაც მეტი ხანი ეყოლებათ ამ გვარს მდგომარეობაში, ის ურჩევნიათ. რასაკვირველია, არის იმისთანა მამულები, რომლის შეხედვასაც თითონ გლეხები არა ნდომულობენ იმას გამო, რომ სახელმწიფოსაგან დანიშნული ფასი დღიურისა მეტია მამულის ღირებულობაზედ, მაგრამ ამ გვარი შემთხვევა შედარებით იშვიათია და უფრო ხშირად შეხვდებით იმისთანა მამულებს, რომელნიც ერთი ორად და სამად ღირან სახელმწიფოსაგან დადგენილს ფასზედ და მებატონესაც მეოთხედში კაი შემოსავალსაც აძლევენ. რა გასაკვირველია, რომ მებატონემ არ მოინდომოს ამ მამულების ხელიდამ გაშვება და სთხოვოს კიდეც მომრიგებელ შუამავალს, რომელსაც ჩვეულებრივ კავშირი აქვს, თუ ნათესაური, თუ მეგობრული, მებატონესთან, რომ გლეხების თხოვნას ყურადღება არ ათხოვოს და «მამაშვილური კავშირი» მებატონესა და გლეხს შუა არ შეირყიოს. მომრიგებელი შუამავალიც პატივსა სცემს ხოლმე თავის მეგობრის, ან ნათესავის თხოვნას, ძველს დამოკიდებულებას ისევ ძველს კალაპოტშივე სტოვებს და არ უყურებს იმას, თუ ამ დამოკიდებულებას რამდენის უსიამოვნებისა და შფოთის გამოწვევა შეუძლიან მებატონეებისა და გლეხების შორის.

ამ გვარად, ხშირად გლეხები ზედ ალევენ, რაც კი რამ მოეძევებათ, ოღონდ მამულების შეხსნა შეიძლონ, მაგრამ შრომა ამაოდ უვლით და შემდეგ ისე ლატაკდებიან, რომ მეტი ცდა შეუძლებელია მათთვის. ასეთი საქმე დამართვიათ სურებელ გლეხებს და ასეთი საქმე დაემართებათ ყველა ნაყოფიერ მამულზე დასახლებულ გლეხებსაც, თუ მინაზომ მამულების შესყიდვა რუსეთსავით ჩვენშიაც სავალდებულო არ გახდა.

## ახალი ამბები.

ოც-და-ხუთ წელიწადზე მეტია, რაც დუშეთის შუა-გულში დაიწყეს ერთი ეკლესია, მართლა მშვენიერს პლანზედ, რომლის ბადალიც საქართველოს ახლად აშენებულს ეკლესიებში არ მოიპოება. აქამდე დაუსრულებლობის მიზეზი გახლდათ უთაურობა მოთავედ ამორჩეული კაცებისა. ამოირჩიეს ჯერ ერთი, რომელმაც ეკლესიის მაგიერ თავისი სახლები ააშენა; ამოირჩიეს მეორე—იმ დალოცვილსაც სახლების აშენება მაშინ მოუნდა. ახლად ამორჩეული კამიტეტი ისე ერთგულად და თავგამოდებითა მუშაობს, რომ წრეულ უთუოდ გუმბათს შეუკრავს. კანკელი შეუწირავს თ. ივანე მუხრანსკის, რომელსაც აკეთებს საუკეთესო მხატვარი და სამასი თუმანი ჯდება. სწორედ მოსაწონი და ყურადღების ღირსია ის ერთგულება და დაუზარელობა, რომელსაც დუშეთის სომხობა იჩენს ამ ეკლესიის აშენებაზედ. ისინი არამც თუ მარტო ფულსა ჰხარჯვენ, ახალგაზდა და მოხუცი ერთად გამოდიან და მხიარულად მუშაობენ. ეს მაგალითი ცხადად ამტკიცებს, რომ დუშელ სომხებს ისევ ძველებურად მტკიცე ერთობა აქვთ ქართველობასთან. დუშელებს ვურჩევთ ისევე ამ ძველებურს, მამა-პაპურს გზას ნუ ულალატებენ და ქართველობასთან ჭირსა და ლხინს ნუ გაასცალკევებენ.

როგორც შეტყობილი გვაქვთ, ჟურნალი «Вѣстникъ Европы»-ს რედაქტორი, მართლა ყველასგან პატივსაცემი და კეთილ საიმედო კაცი, პეტერბურღის ქალაქის თავის თანაშემწედ ამოირჩიეს. ამ ამორჩევას რუსეთის, თითქმის ყველა მიმართულების გაზეთები დიდი სიხარულით მიეგებნენ. ეხლა რუსეთის გაზეთები გვატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს არ უნებებია ბ. სტასიულევიჩის დამტკიცება.

კავკასიის მადნის წყლების გამგე კამისიაში შეუტანიათ პროექტი რკინის გზებისა, რომლებმაც უნდა შეაერთონ ვლადიკავკაზის რკინის გზასთან პიატიგორსკი, ესენტუკი და კისლოვოდსკი, ჟელეზნოვოდსკის გარდა.

საქართველოს ძველი ნაშთების გარჩევას და გამოკვლევას სინაიზედ, იერუსალიმში, ათონზედ და სტამბოლში კიდეც შესდგომიან «(Русскій Курьеръ»).

ფოთელები უნდა გავახაროთ. ღმერთი მთლად ხელს არ იღებს მათზედ, როგორცა ჰგონია იმათ. სახელმწიფო რჩევას გადაუწყვეტია ფოთის ნავთსადგურის დასასრულებლად მიეცეს კიდევ 2,300,000 მანეთი.

## «დროების» კორესპონდენცია.

სურები, (გურია) 20 ივნისს. როგორც ყოველთვის, წელსაც ამ ჩვენ სურებში მშვენიერი და მეტად სასიამოვნო დარებია. გურიის სხვა სოფლებში გოლვისაგან ბევრი ყანები დაუთესელი დარჩა და დათესილებს მაინც და მაინც ხეირი არ ეტყობათ. ჩვენში კი დგას გრილი და ხშირი წვიმიანი ზაფხული, რის გამოც ყანებიც მშვენიერია და სხვა მცენარეებიც. ეს ასეც უნდა იყოს, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი საზოგადოება მშვენიერ ბუნების ქვეშ არის მოქცეული.—ორივე მთები, რომელთ შუა სურების საზოგადოება მდებარეობს, არიან შემოსილის ხშირისა და ჯერ კიდევ გაუტეხელის მაღალის ტყეებით, რომელნიც ყოველ ზაფხულობით არ გვაკლებენ მუდმივ სიგრილეს; ამას გარდა მსწრაფლად მდინარე სუფსა, რომელსაც ჩამოერთვიან მრავალი ყინვასავით ცივი ნაკადულები და წყაროები, მუდამ უგზავნის გრილს და გულის გამხსნელ ნიავს თავის კიდეებზედ დაფენილს სურების სოფლებს. ვიმეორებ, ბუნება მუდამ კარგი გვაქვს... მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა-და-სხვა არა ბუნებისაგან დამოკიდებულის მიზეზების წყალობით ამ მშვენიერ სოფელში...

ჩვეულებრივს გაჭირვებას რომ თავი გავანებოთ, რომელშიაც ბევრი ამხანაგი გვყავს ჩვენ, სურებლებს, კიდევ სხვა ნაირი გაჭირვება გვაქვს. მოგეხსენებათ, რომ დიდი ხანია მას აქეთ, რაც გლეხებს ეღირსად განთავისუფლება და მიეცათ ნება თავიანთი მიწა-წყლების მებატონეთაგან შესყიდვისა; ბევრმა ისარგებლა ამ საზოგადო კანონით და გამოიყიდა კიდეც მიწები და თუ ვინმე დარჩა, დარჩა იმისთვის, რომ შეძლება არა ჰქონდა. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენის საზოგადოებისათვის ეს ნება უძალო და უსარგებლო გამოდგა.—ათზედ მეტი წელიწადია მას აქეთ, რაც რამოდენიმე კომლი გლეხი ამ საზოგადოებისა მეცადინეობდენ თავიანთი მიწა-წყლის შესყიდვას მებატონეთაგან და არა ერთი და ორი მანათი დახარჯეს [illegible] ამ საქმის შესახებ, სანამ შეეძლოთ და მთლად არ გაღატაკდენ, მაგრამ ვერარას გახდნენ, ე. ი. არ მიეცათ ნება მებატონისაგან მიწების შესყიდვისა. რა უდგია ამ საქმეს წინ, შეგვატყობინოს, ვისიც საქმეა, სასურველია ვიცოდეთ, მომრიგებელმა—შუამავალმა რათ არ მიაქცია ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება; დალოცვილი ხომ ხედავდა რომ ეს გლეხები ამდენის ხნის განმავალობაში კვირაში ორჯერ, სამჯერ უფთხობდენ ტკბილ მოსვენებას ერთისა და იმავე საქმის შესახებ! კარგია თავადურად ფუფუნებით და უზრუნველად ცხოვრება! მაგრამ ზნეობით თავადი და პატიოსანი კაცი არც თავის მოვალეობასთან ხუმრობას იკადრებს, მეტადრე, თუ ამ მოვალეობის სეირიანად აუსრულებლობით ათასს მეტ ადამიანს სიმწარის და გაჭირვების დღე ადგება. ახლა ამ გლეხებმა თავი მიანებეს მიწა-წყლის შესყიდვას—და აღარც შეძლება აქვთ ამისი.

ამ საქმის შესახებ შარშან ამ დროს ამ გლეხებმა უკანასკნელად მიართვეს თხოვნა ბათუმის გუბერნატორს ბ. სმეკალოვს.

მეორე ჩვენის სოფლის გაჭირვებას შეადგენს უმეცრება თავის შედეგებით ცრუ მორწმუნოებით, სარწმუნოების უკუღმართად გაგებით, შურით და სხვა ამ გვარ უბედურების ნაყოფით.

ჩვენის სოფლის მდებარეობა ისეთია რომ ყოვლის მხრით შემოზღუდულია მთებით, მხოლოდ დასავლეთით არის პატარა, ვიწრო გზა, რომლის საშუალებით გვაქვს იშვიათი კავშირი სხვა საზოგადოებებთან. ამისთვის ჩვენში სწავლა უფრო საჭიროა, ვიდრე სხვა სოფლებში, რომ ქვეყანას სრულიად არ გამოვეწყუდეთ.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ახალი მაზრის უფროსი არ მიბაძავს თავის წინა-მოადგილეს, რომელმაც არც კი იცოდა, თუ სადმე სურების საზოგადოება იყო, და წამალს გაამზადებს სურებისათვის.

სურებელი.

## კრიჭაში.

ჩვენ შევიტყევ, რომ ერთ სატუსაღოში მარტო ოთხ დღეში ერთხელ უხარშავდენ თბილს საჭმელს და ეხლა დღე გამოშვებით უხარშავენ. ეს რისგან მოხდა? ტუსაღებს ფული მოუმატეს, თუ ვინმე მადლიანი კაცი გამოესარჩლათ და მათ უფროსს დაასცხუნა? მაშ არ შეიძლება, რომ რაც აქამდე დაუკლია, ეხლა შეუსრულოს ციხის «მატრიტელმა» და ყოველ დღე თბილი საჭმელი მოუხარშოს ხოლმე?

—

ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ბლაღოჩინს სამღვდელოებისაგან სასულიერო სასწავლებლის შესანახავად შეტანილი ფული რამდენიმე წლისა მიურთმევია და როდესაც უკითხავთ: რა უყავი იმდენა ფულიო?!—ფოთფოდიას კაბების ბოლოზედ მონახეთო, უპასუხია.

არაფერი სანუგეშო პასუხია!

იმავე ბლაღოჩინს ერთი ეკლესიის ორი თუმანი ჰქმართებია და ორ თუმანში განსვენებული ევსევის ორი მოძღვრებია დაუდვია, რომელიც მანეთად ღირს!

არ შეიძლება, ვისიც ჰჯერარს, ამ ბლაღოჩინს უბრძანოს: ან თავისი წიგნები უკანვე მიირთვას, რომელნიც, რასაკვირველია, გაუჭრელნი იდებიან,—თუ თავებს არ აღმრავთ კითხვის სურვილი,—და ფული შეიტანოს ეკლესიაში, ან არა და წიგნებისა თითო მანეთი იანგარიშოს და თვრამეტი მანეთი მაინც ამოუყაროს?

—

ერთი პატარა ქალაქის ეკლესიაში სანთლის ფულს სამ მანეთზედ ზევით არ აჩვენებდნენ ხოლმე. რადაც იღბალზედ პატარა ხნობით იმ ეკლესიის სტაროსტად იქაური ხაზინადარი ამოირჩიეს. წელიწადი არა ყოფილა ის პატიოსანი კაცი ამ თანამდებობაში და ოც და ათი თუმანი სანთლის ფული აჩვენა.—აქამდე სად მიდიოდა ამოდენა ფული, თუ კი სტაროსტამ ამ ცოტა ხანში ოც-და-ათი თუმანი გვაჩვენაო? ჰკითხეს გაწრფილებულს სულიერს მამას თავისმა სულიერმა შვილებმა.

—რას გიკვირთო, უპასუხა უანგარობით სავსე წმინდა მამამ, მაგას დიდი მარხვა შეესწროო და სანთელი ბევრი გაუყიდაო!..

—თქვე დალოცვილო, ოცი წელიწადია, რაც თქვენ ამ ეკლესიაში მღვდლობთ და ამოდენა ხანი ერთი დიდ მარხვა როგორ არ შეგესწროთო? უპასუხეს. მღვდელი გაჩუმდა და მას აქეთ კრინტი აღარ დაუძრავს.

სჩანს ამ მღვდლისთვის სულ სხსნილი ყოფილა.

—

ერთს სულიერს მამას, რომელიც ბევრი მარხულობით მიხრწნეულია და ლოცვით მუხლები აქვს გადატყეთილი, ქვეყანაზედ გლახაკის მამრავლებას ამბრალებენ და სასტიკი გამომიებაა დანიშნული. ის დალოცვილი ეხლა თურმე ყველას ჰკვრის საბრალო ინდოურებზედ, ქათმებზედ და გოჭებზედ ყრილობს: ჰხოცავს უთვალავს, ხურჯინში ალაგებს და თითონ კი კბილს არ აკარებს. აქამდე დიდი მეგობარი იყო ჭრელი ქაღალდებისა, ეხლა იმათაც გადამტერებია: ყუთიდამ მალ-მალ უბეში ილაგებს და ქვეით და ზევით მიარბენინებს.

უფრო მადლი იქნებოდა, რომ იმ კურთხეულმა თავისი გაჩენილი, თითონვე დაარჩინოს და როგორც ჭრელი ქაღალდები, ისე ფრთოვანის, რქოვანის და ჯიგროვანის მტრობას თავი დაანებოს.

---

## ქვათისხევის სკოლის კომიტეტის განაჩენი შესახებ ამავე სკოლის შენობისა და მისი ანგარიში დასრულების შემდეგ 1883 წელსა 1-ს ივლისს.

1878-სა წელსა, ნოემბრის 1-სა დღესა გაიხსნა სოფელს ქვათისხევში ერთ-კლასიანი სასწავლებელი იმ განჩინების ძალით, რომელიც იყო ქვათისხევის საზოგადოებისაგან დადგენილი და გაგზავნილი უმაღლეს მთავრობასთან დასამტკიცებლად 1876-სა წელსა და რომელიც კიდეც დაამტკიცა მთავრობამ.

მასწავლებლად დანიშნულ იქმნა იოსებ ზებედეს-ძე ცხვედაძე და კომიტეტის წევრებად ალექსანდრე ზებედეს-ძე ცხვედაძე, ნინიკა მორჩილაძე, მოსე ალაპიშვილი და დიმიტრი შენაბერიძე, რომელნიც შეუდგნენ განჩინებით მინიჭებულ უფლებების ძალით ამავე 1878-სა წელსა 1-ლ გიორგობის თვიდგან სკოლის სახლის და ყოველივე სკოლის ნივთების მოპოებას: 1) რადგანაც სასოფლოდ სახლი არ მოიპოებოდა სკოლისთვის — დაქირავებულ იქმნა დავით მიხეილის-ძე ქანდელაკის ზემოთა სართული ფასად წელიწადში თორმეტ თუმნად. სკოლამ დაჰყო აქ ოთხი წელიწადი,—თუმცა მასწავლებელი და კომიტეტი პირველის წლის დამლევსვე შეუდგნენ საზოგადო სახლის და ბაღის აშენების საქმეს შემდეგის მოსაზრებისაგამო:

ა) მსურველნი სწავლისა აღმოჩნდნენ მომეტებულნი, რომელთა რიცხვიც ვერ თავსდებოდა დაქირავებულს სახლში. ბ) საზოგადოება ყოველს წლივს იხდიდა სკოლის ქირას თორმეტს თუმანს და ეს ძალიან აწუხებდა ხალხსა. გ) ჰიგიენურ პირობებს და პედაგოგიურს მოთხოვნილებას დაქირავებული სახლი სრულიად ვერ აკმაყოფილებდა; დ) სკოლის გახსნის განჩინების დადგინების დროსვე საზოგადოებას ჰქონდა სურვილი რომ სკოლაში ესწავლათ ქალთა და ვაჟთა; ქალთა გარდა წერა-კითხვისა— ჭრა-კერვა, ქსოვა სხვა-და-სხვა საჩოხე შალეულობისა და სხვ., ხოლო ვაჟთა მებაღობა და მამულის შემუშავებაც წერა-კითხვასთან.

ამ ზემოხსენებულის მოსაზრებით მასწავლებლის წინადადებით კომიტეტი შეუდგა სკოლის ადგილის აღმორჩევას, მის შესყიდვას და აშენებას იმისთანა სკოლისას, რომელიც სრულებით დააკმაყოფილებდა ზემო მოხსენებულს მოთხოვნილებაებს; რისთვისაც კომიტეტმა იხმარა ყოველივე ღონის-ძიება ამ დიად სასარგებლოს საქმის აღსრულებისათვის. პირველად მან მიმართა მასწავლებლის იოსებ ცხვედაძის შუამდგომელობით თბილისის წერა-კითხვის საზოგადოებას, რათა მას აღმოეჩინა რაიმე შემწეობა სკოლის შენობაში. წერა-კითხვის საზოგადოებამ კომიტეტის თხოვნა არ გაუშო უყურადღებოდ და გადმოსცა კომიტეტს შენობისათვის 200 მანეთი. ამის შემდეგ, კომიტეტმა სთხოვა მასწავლებელს, რათა მას ხალხის მხრივ ეთხოვნა თბილისის გუბერნიის სახალხო დირექტორისთვის 500 მანეთი იმ სათადარიკო ქვათისხევის სკოლის თანხიდგან, რომელიც ქვათისხეველებს სკოლის გახსნამდე შექონდათ ოთხის წლის წინედ ხაზინაში ოც-და-ექვსი თუმანი. ამაზედ დირექტორმა ბ. სტრელეცკიმ სთხოვა გუბერნატორს, რომელმაც ნება დართო 500 მანეთისა და კიდეც გადასცეს კამიტეტსა, ბოლოს 150 მანეთი ითხოვა კრამიტისთვის სათადარიკო თანხის სუმიდგან ბ. დირექტორი დარსკის ნება დართვით მან ეს ფული გარდასცა მასწავლებელს ყოვლისა დაუბრკოლებლივ, შემდეგ კამიტეტმა და მასწავლებელმა მიმართეს თითონ ქვათისხევის სოფლის საზოგადოებას, მან სრული თანხმობა გამოაცხადა სკოლის შენობის დახმარებაზედ; ფულად კამიტეტს გარდასცა ას-ოცი თუმანი და ხუთი მანეთი (1205 მ.) და აღუთქვა ყოველივე მასალა, რაც კი ადგილობრივ მოიპოვებოდა და დასჭირდებოდა შენობას ესე იგი: ქვა, ქვიშა, კირი, ხე-ტყე და მუშა, მაშასადამე ფულად კომიტეტს მიუღია 2055 მ. და ეს ფული მოახმარა კამიტეტმა (შემდეგ) სკოლის შენობის შემდეგ საჭიროებაზედ:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ადგილი შეისყიდა გიორგი მორჩილაძისაგან— — | 250— | ,, |
| კარი ფანჯრის გაკეთებაში ივანე ქაციაშვილს, დურგალს, მიეცა — — | 140— | ,, |
| ოთარ თარხანოვს ხის შალბაში მიეცა— — | 30— | ,, |
| კიდევ ხეების შალბაში დავით ალექსანდრეს-ძე თარხანოვს მიეცა— — — | 102— | ,, |
| საკალატოზო კალატოზებს ტატო ჭურღოვანიძეს, გიორგი მოდრეკილაძეს, გაბრიელ შაყულაშვილს და სხვებს მიეცათ — | 135- | ,, |
| კარი ფანჯრისათვის ხეები ახალციხელი გლეხებიდგან და კავთისხეველი გლეხი მოდრეკილაძისაგან მიეცათ — — | 53— | ,, |
| ხეების დახერხისთვის დიმიტრი მორჩილაძეს — | 37 -- | ,, |
| შენობის დროს წყლის ხელადებზედ, ხარაჩოს ლურსმებზედ, კირის საზიდავ თახზებზედ, წებოზედ, ქვის შალბაშზედ და მუშებზედ ტყეში ერთად დაიხარჯა — — — | 12— | ,, |
| აგური თალებისა და კუთხეებისათვის ნასყიდია თ. გიორგი თარხანოვისაგან სამი ათას ხუთასი 3500 ც. და მიუღია — | 32— | 90 |
| გორში მცხოვრებელ მეკრამიტისაგან ნასყიდია 12500 ც. თავისი ხარჯებით მაგ. ბორნის ფულით და ამ საქმეზედ მზრუნველების მისვლა-მოსვლით | 157— | 65 |
| დურგლებს მოსეს ტერ-მარქაროვს და იაგორ მამაცოვს კანდრახტის ძალით მიეცათ 800 მ. და დღიური სამუშავო 30 მ. სულ მიუღიათ — — — | 830 – | ,, |
| ოთხი ფეჩისათვის აგური თავისი ტრუბებით ნასყიდი ახალ-ქალაქში მეაგურესაგან 7500 ც. მიუღიათ — — — — | 75— | 20 |
| გამირებში მრთელი შენობისათვის სანდრო მორჩილაძეს მიეცა — — | 56— | 75 |
| ლურსმანი მთელის შენობისა და ანჯამები — | 45— | 38 |
| ტყის ყარაულს შიო ქობაიძეს მიეცა — — | 5— | ,, |
| მორჩილიძეს სამს ურემს კირში მიეცა — — | 9— | ,, |
| კარი ფანჯრის პრიბორში ქ. თბილისში ამერიკის მაღაზიაში მიცემულია— | 108— | 20 |
| აზვერდოვს ას ათი ცალი ფანჯრების შუშებში მიეცა — — — — | 35— | ,, |
| თორმეტი ცალი ქესტი და ქეტერკა ერთი ცალი— | 14— | 35 |
| კარი ფანჯრის შესაღები წამალი თავის იარაღით | 19— | 40 |
| მეშუშებმა და წამლის წამსმელებმა ელბაქიძემ და მისმა ამხანაგმა მიიღეს— | 23— | 45 |
| ქალატოზს გაბო ეშმაკურაშვილს ფეჩებისათვის კედლის გამონგრევაზედ და მის გამოშენებაზედ მიუღია — — — — | 11— | ,, |
| გაჯის შალბაში გომელ გლეხებს მიუღიათ — | 5— | ,, |
| ხე-ტყე ნასყიდია ქვათისხევის კერძო პირებისაგან პოლისა და ლამფისათვის | 82— | 50 |
| ოთხი ფეჩისათვის პრიბორში მიცემულია — — | 9— | 52 |
| გადახდილი სარგებელი კომიტეტისაგან ნასესხი ფულისა შენობის საჭიროებაზედ— — — — | 18— | 70 |
| სხვა-და-სხვა წვრიმალი ხარჯები ქქ. თბილისში და გორში ნივთების ყიდვისა და წამოღების დროსა ადგილობრივი წვრიმალი ხარჯები — — — | 42— | 57 |
| მთლად ფულად დახარჯულა — — — | 2340 – | 57 |

მაშასადამე მეტად არის დახარჯული 285 მ. 57 კ., რომელიც კომიტეტისგან არის ნასესხი სხვა-და-სხვა კერძო პირებისაგან სარგებლით თუმანზედ ერთ აბაზად.

რომ ვიანგარიშოთ და ფასად ჩავაგდოთ თვით ხალხის შრომაც, ესე იგი მასალის ზიდვა და მუშაობა შენობაზედ, მაშინ შენობა მომეტებული ჯდება. მაგალ. ა) კირი მოუნდა სამი საკირე, თითო საკირეს ამოდიოდა თხუთმეტი ურემი, თითო ურემი რომ ჩავაგდოთ სამს მანეთად, მაშინ კირი მოზდომია 135 მ. ბ) ქვიშა მოუნდა ორასი პატარა ურემი; ურემი რომ ჩავაგდოთ ხუთ შაურად, როგორც ადგილობრივი ფასით, მაშინ ქვიშა მოზდომია 50 მ. გ) ქვა იყო მოტანილი ორას ორმოც-და-ათი ურემი, ურემი ღირს ადგილობრივის ფასით ექვსი შაური სულ დაიჭერს 75 მ. დ) გაჯი თუმცა მოიტანეს ორმოც-და-ხუთი ურემი, მაგრამ იმაში გამოირჩა ოცი ურემი; ურემი რომ ვიანგარიშოთ მანეთად, ხდება 20 მ. ე) ხე მოიტანა საზოგადოებამ

ას ოც-და-შვიდი ერთი-ერთმანეთზედ კარგი და მდარე ღირდა სამ-სამ მანეთად, რადგანაც შალაშიც გადახდილი იყო სულ ხე მოტანილი ღირს 381 მ. 3) ხალხის მუშა დაიხარჯა ორას ოთხმოც-და-ხუთი მუშა, ადგილობრივის ფასით ღირდა დღეში ორი აბაზი სულ 114 მ.

ჯამი მასალისა არის — 775— ,,
ჯამი ნაღდი ფულისა—2340 —57

და მთლად შენობისა—3115—57

მაშინ მთელი თავისის საბალე ადგილით და ეზოთი დამჯდარა სამას თერთმეტი თუმანი ხუთი მანეთი ორმოც-და-ჩვიდმეტი კაპ. (3115 მ. 57 კ.). ამაში არ არის მოყვანილი ის ხარჯები, რაიცა მოსვლია მასწავლებელს და კომიტეტის წევრებს მისვლა-მოსვლაზედ და შენობის ზედამდგომელობაზედ. იგინი თავიანთ შრომას სწირავენ საზოგადოებას. ამა შენობის პლანი არის აღებული ინჟინერისაგან და მთავრობისაგან მოწონებული, შესდგება იგი შემდეგი განყოფილებით: ქვემოთა სართული არის ერთი სარდაფი ბალეულობის იარაღის და ყოველივე სკოლის ნივთების შესანახავად დანიშნული. ზემოთა სართულს შეადგენს ერთი დიდი დარბაზი სიგრძით 19 არშინი, სიგანით რვა არშინი, რომელიც არის დანიშნული კლასის ოთახად და სადაც თავისუფლად თავსდება ასამდე მოსწავლე. კლასის მეორე მხარეზედ არის სამი ოთახი: ერთი მოზდილი დარბაზი, რომელიც იხმარება ქალთა მოსწავლეთა ხელ-საქმისათვის და კვირაობით სახალხო საკითხავ ოთახად. მხოლოდ დანარჩენი ორის ოთახის დანიშნულებას შეადგენს მასწავლებლის მოსათავსებლათ და სკოლის ბიბლიოთეკას. შუაგულ კლასისა და ამ მოხსენიებით სამი ოთახისა არის 19 არშინიანი სიგრძით და $3^1/_2$ არშ. სიგანით, ქარიდორი—შამთრობით ყმაწვილებისათვის სასეირნოდ და დასასვენებლათ, აგრეთვე ტანისამოსის ჩამოსაკიდებლათ.

კომიტეტის თავმჯდომარე
ალექსანდრე ზუბედს-შე ცხვედაძე.

წევრნი: ნინიკა მოჩხილიძე. მოსე ალაპიშვილი. დიმიტრი შუშაბერიძე.

საქმის მაწარმოებელი და სკოლის მასწავლებელი იოსებ ზუბ.-შე ცხვედაძე.

---

# განცხადებანი

ბაქოს რკინის გზის სკლადში (ავჭალის ქუჩაზედ, რკინის გზაზედ გადასავალში) (ზარასკევს, ამ ივლისის რვიდამ, დილის რვა საათზედ ყოველ დღე აუქციონით გაისყიდება დარჩენილი მასალა, იარაღები და ერთიც ხადგომი სახლი დასაშლელად. (3—1)

---

მგზავრის შენიშვნები
(„თბილისიდამ პეტერბურღამდის")

გ. მ. კასუმოვისა ისყიდება თბილისში: წიგნის მაღაზიებში გ. გ. ბერენშტამისა და «ცენტრალურ წიგნის ვაჭრები» შავერდოვის სააგენტოში გოლოვინსკის პროსპექტზე და წიგნის მაღაზიაში «კავკასიის წიგნის ვაჭრობა» ზ. პ. გრიგოროვისა, მიხაილოვის ხიდზე. ფასი პირველის ნაწილისა 35 კ. (2—2)

---

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—2)

---

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება $25^0/_0$ იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფაღნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—84)

---

# ფოთში

მეორე გილდიის მოვაჭრე
მოსე დავითის-ძე
კ ა კ ა ბ ა ძ ე

ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას, რომელთაც დღემდინ ჩემთან კომისიით საქმე ჰქონიათ დაჭერილი საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისაზედ და ან აწ აპირებდეს საქმის დაჭერას, უმორჩილესად ვსთხოვ, რადგან ამ მდგომარე 1883 წელში შემთხვევით ბათუმში არ გარდავდივარ, ისევ ფოთში მომმართონ.

(3—3) მ. დ. კაკაბაძე.

---

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—1)

## მაკ-მასტერის

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

# შპალერები

ახალი მიღებულია. *(vertical text at left)*

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით
ძმათა ტარნოპოლების
ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.
ნარდათ მეიდველთ დაუთმობათ. (40—33)

---

საკლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—$25^0/_0$ იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარა—20 კ. (100 —40)

---

2000 ბოთლი ციტრატ-მაგნეზიისა წყურვილის მოსაკლავად 80 კ., 1000 ყავის საფქავი 1 მანეთიდამ, 3000 საურველი 20 კაპეიკიდამ, 4000 ჩამოსაკიდებელი 5 კ. ინგლისის მაღაზიაში.

იქვე კარბოლის პარაშოკი, უნაგირები, რევოლვერები, ჩულქები, წინდები და გუტაპერჩის პალტოები $25^0/_0$ იაფად სხვებზედ. პარუსინა და კაცის წამოსასხამები ნახევარ ფასად. (10—6)

---

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ და-ხელ პირველიდამ 16 კათათვემდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | $5^1/_2$ |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| ჭვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $5^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

---

# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

---

Дозв. цензурою Тифлисъ, 7 Іюля 1883 г. აქ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველი შვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.